

სელნაწერთა ინსტიტუტის

მ ო ა მ ბ ე

II

მ რ ა მ ბ ე

II

შემდგენილია საქართველოში სწავლათა ხელისუფლების
დაქვეყნების 40 წლისთავისადმი

ც. ჭურჭიკიძე

ნანათესაობითარი ვითარებითი ძველ ქართულში

ძველი ქართული ენის ძეგლებში მრავლად დასტურდება ფორმები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ნანათესაობითარი ვითარებითი (ნანათესაობითარი მიმართულებითი) ბრუნვის სახელითაა ცნობილი¹.

მაგალითები:

„წარვიდეთ ჩუენ აწ ნერონისა“ წამ. პავ. 52, 28.

„წარიყვანა უკუე დომნოს იოვანე და შეიყვანა მამისა თვისისა“ საქმ. და სწ., 69.4.

„შეიპყრეს იესუ და მიიყვანეს კაიოფაზსა, მღდელთ მოძღურისა“

მათე 26, 57 და სხვ.

აღნიშნული ფორმები იხმარება მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან (როგორცაა: მისლვა, შესლვა, მიყვანა, მივლინება, შეწირვა, მიქცევა და სხვ.) და შინაარსით გადმოსცემს უბრალო დამატებას (უპასუხებს კითხვაზე: ვისა? „უფალო, ვისა მივიდეთ?“ იოვანე 6, 68).

როდესაც უფლისა, ნერონისა, დავითისა და ნისტანა ფორმებს ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმებად აცხადებენ, ფიქრობენ, რომ აქ საქმე გვაქვს ნანათესაობითარ მსახლერელთან, სადაც „სახლერულისა და მსახლერელის ნაცვლად მხოლოდ მსახლერელია მოცემული, ხოლო სახლერული იგულისხმება“².

ე. ი. როდესაც ასეთი წინადადება გვხვდება: „მიგავლინო შენ ფარაოზსა, მეფისა მის ეგვტელთაჲსა“—გამოსლ. 3, 10³, აქ ფარაოზსა ნანათესაობითარ ვითარებით ბრუნვად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც სახლერული სახიდ, ტაძრად, ქალაქად ან რომელიმე სხვა სიტყვა აკლია, მაგრამ იგულისხმება კი.

ე. წ. ნანათესაობითარი ვითარებითის მაგალითებზე დაკვირვებისას გამოვლენდა ნეტად საყურადღებო გარემოება, სახელდობრ, ის, რომ აღნიშნული ფორმით მხოლოდ და მხოლოდ ვინ ჯგუფის სახელები იხმარება.

უამრავ მაგალითში მხოლოდ სამი გამონაკლისი შეგვხვდა, სადაც ჩვენთვის საინტერესო ბრუნვის ფორმით რა ჯგუფის სახელებია წარმოდგენილი:

¹ ს. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XX, 1942, გვ. 175—177; ვ. თოფურია, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში (მოხსენების თეზისები): სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956, გვ. 32; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 146.

² ს. ჩხენკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

³ ბიბლიიდან დამოწმებული ყველა მაგალითი ამოღებულია A—51 (ე. წ. მცხეთის ბიბლიიდან) ხელნაწერიდან.

„შევიდა ყრმა იგი ხატისა მის“—კიმენი 154, 19.

„მივედ ფუტკრისა და ისწავე, ვითარ იგი მოქმედ არს“—იგავ. 6, 8.

„მიგუაღე ჯინჭვლისა და ჰბადედე, ჰ მედგარო“—სახისმეტყვე. (ისტ. ქრესტ. 282, 33)⁴.

ამ გამონაკლისებს, ჩვენი აზრით, თავისი ახსნა აქვს: მოცემულ კონტექსტებში ხატისა, ფუტკრისა და ჯინჭვლისა გონიერ, ადამიანური თვისებების მქონე საგნებად უნდა იყოს გაგებული.

როდესაც ზენოთ მოყვანილ თვალსაზრისზე ვდგებით, რომ აღნიშნული ბრუნვა ნანათესაობითარი მსაზღვრელია ვითარებით ბრუნვაში, ბუნებრივად ისმის კითხვა, რატომ არ გვხვდება ამ ფორმით რა ჯგუფის სახელები? რომ დასტურდებოდეს, მაგალითად: მივიდა ტაძრისა, სახლისა, ქალაქისა და მისთანა ფორმები, საზღვრულს ყველგან ვიგულისხმებდით, მაგრამ ასეთი მაგალითები ჩვეულებრივ არ ჩანს.

გვხვდება: „(გრიგოლი)... ვითარ მივიდა კარხა ტაძრისა მათისასა, მაშინ კურაპალატი ზე აღდგა და მიეგება ნეტარსა მამასა გრიგოლს“
ხანძთ. 109, 40.

აგრეთვე: „წმიდანი ესე მოიყვანნეს პირამდე მის მდინარისა“
ზარზმ. 88, 13.

„მიბრძანე მისლვად კოლტსა იმას ღორებისასა“ მათე 8, 31.

მაგრამ არ გვხვდება: ტაძრისა, მდინარისა, ღორებისა, რომ გადმოეცათ შინაარსი: კარად ტაძრისა, პირად მდინარისა, კოლტად ღორებისა და სხვ.

კიდევ სხვა მაგალითი: იაკობ მოციქულის წამებაში იაკობის შესახებ ერთგან ნათქვამია, რომ მას „ღუნოჲ და თათლუქი არა ესუა, და მშუმინევირისაგანი არა ეჰაზა და მახული არა აღსრულ იყო თავსა მისსა და ზეთი არა ეცხო და აბანოდ არა მივიდის. და ესე მარტოჲ შევიდოდა ტაძრად, ხიწ-შიდესა მას“ (სინას მრავალთ. 5, 8); ე. ი. იაკობი ყოველგვარ ადამიანურ საჭიროებებს უარყოფდა და მხოლოდ ტაძარში, სიწმიდეში შედიოდაო. რომ ყოფილიყო: იაკობი... შევიდოდა სიწმიდისა მის—წინადადება ნანათესაობითარი მსაზღვრელით—ძველი ქართულისათვის თითქოს ნორმალური და ბუნებრივი იქნებოდა (მივიღებდით შინაარსს: იაკობი მხოლოდ სიწმიდის აღგილს შედიოდაო), მაგრამ ასეთი ფორმები რა ჯგუფის სახელებისათვის არ დასტურდება.

ერთი კიდევ: „(კაცსა მას)... ცოდვაჲ იგი ეშმაკისა მიჰგურიდა და ეშმაკი სიკუდილსა მისცემდა და დიდსა კირსა ჩუენ ზელა მოაწევდა“ (სინას მრავალთ., 43, 16).

ამ წინადადებაში გვაქვს დაპირისპირება: „ეშმაკისა მიჰგურიდა“ და „სიკუდილსა მისცემდა“. „სიკუდილსა“ აქ ირიბი ობიექტია, ზმნაში პირის გამჩენი და, ცხადია, იგი მიცემით ბრუნვაში უნდა იყოს, მაგრამ მიცემით ბრუნვაში იყო მოსალოდნელი სიტყვა „ეშმაკიც“, ისიც ირიბი ობიექტია, გვაქვს კი ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითში. რატომაა, რომ ირ. ობიექტი ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითშია წარმოდგენილი, ეს სხვა სა-

⁴ აღნიშნული მაგალითები ამოვიღეთ ი. იმნაიშვილის წიგნიდან „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“, გვ. 712.

კითხია. საქმე ისაა, რომ რა ჯგუფის სახელი ნის ადგილას ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმით არაერთარ შემთხვევაში არ შეგვხვდებოდა.

ვინ ჯგუფის სახელთა ე. წ. ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმებს რა ჯგუფის სახელები მიცემით ბრუნვაში შეესატყვისება. ასე ნავა:

„წარიყვანეს პეტრე და მიიყვანეს აგრიბა მეფისა“ წამ. პეტრ., 45,6.

„წარვიდეთ ჩუენ აწ ნერონ კეისრისა“ წამ. პავლ., 52, 28.

„მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართაჲსა“ ჰაბო. 61, 28

„მოვიდოდა ხარკებიცა მეფისა აგრიბაჲსი პეტრესა“ წამ. პეტრ., 43,8

„მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა“ შუშ., 40—26.

„შეკრებს იგივე მეჯადაგენი და მეკამლენი და მივიდეს უხტამისა“ ევსტ., 46,3.

„მწოდებელი სპარსთა მეფისაჲ მოიწია არვანდ გუშნახბისა“ ევსტ., 46, 44.

„მოიღეს ბრძანებჲა ჩუენებით, რაჲთა არა მიაქციონ შეროდნა“ მათე, 2, 12.

„წარიდენ მეფისა ჩუენთჳს და თჳთ მეფემან გუბაუმენს ჩუენ“ საქმ. და სწ., 60,4.

შდრ. „მიიყვანეს წმიდაჲ პეტრე ჯუარსა მას“ წამ. პეტრ., 45, 26.

„წარვედით წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა“ გობრ., 83, 5.

„მივედ ხესა მას და იხილე გარემოს მისა დიდებულეჲაჲ მისი“ ცხ. ადამისი, 9, 38.

„ვითარცა მივიდა მდინარესა მას... იხილა მცირე რაჲმე კლდე“ ხარხმ. 90,46.

„მოვიდა ცხედარსა მას და შეახო“ ლუკა, 7—14.

„ჯგურ-არს, რომელნი მოუუღენ ჯუარსა იეხუახსა“ წამ. პეტრ., 46, 30.

„მოიწია იგი წმიდასა მას დღესა, დიდსა დღესასწაულსა აღვხებაჲსა“ ჰაბო, 62, 33.

„იგინიცა ესრფეე მოვაქცინე შენსა ხეჯულსა“ შუშ., 36, 12.

„ვითარ ვლეს, მიიწინეს შეხაკრებელსა ორთა მათ წყალთასა“ ხარხმ., 91, 45.

მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება. მოყვანილ წინადადებებში მისლვა ჯუარსა, ხესა, მდინარესა, ცხედარსა ნიშნავს მისვლას ჯვართან, ხესთან, მდინარესთან, ცხედართან; ასევე მისლვა კეისრისა, მეფისა, უსტამისა—მისვლას კეისართან, მეფესთან, უსტამთან. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე ფუნქციით ხმარებისას ვინ და რა ჯგუფის სახელთა ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავებულა⁵.

ამგვარად, რა ჯგუფის სახელები არ გვხვდება ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმით, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ არც ვინ ჯგუფის სახელები დასტურდება მიცემით ბრუნვაში. ძველი ქართულისათვის თუკი ჩვეულებრივია გამოთქმა „მივედ ხესა მას“, რატომ არ უნდა იყოს ასევე ჩვეულებრივი: „მივედ კაცსა მას“, „მივედ მეფესა მას“ და სხვ.

აღნიშნული ფაქტი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, იგი ვინ და რა ჯგუფის სახელთა ბრუნებაში გარკვეულ კანონზომიერ სხვაობას ავლენს.

ვინ და რა ჯგუფის სახელთა ბრუნებში დაპირისპირების თვალსაზრისით საყურადღებოა „შეწირვა“ ზმნის თავისებურებაც. დღეს ეს ზმნა სამპი-

⁵ რა ჯგუფის სახელების მიც. ბრუნვის ფორმებს იმავე ფუნქციით ხმარებისას ხშირად ენაცვლება ვითარებითი ბრუნვის ფორმები: „(უფალი)... მიმოვიდოდა ქალაქებსა და დაბნებსა და ასწავებდა და წარიგზავნებოდა იერუსალმში“ ლ. 13,22 C (შდრ. მიცემითის ფორმები იმავე წინადადებაში, ანდა E რედუქციის ჩვენება, სადაც ი ი ე რ უ ს ა ლ მ ს ი ი კითხვის), მაგრამ ეს მონაცვლეობა მიცემით-ვითარებითი ბრუნვების გენეტური კავშირით აიხსნება (იხ. ამის შესახებ: Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925; ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1944, ტ. V, № 3; ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ე ი ლ ი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველს ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის..., გვ. 393—410).

რიანია (გმირმა მამულს თავი შესწირა), ძველ ქართულში კი გარდამავალი ორპირიანი ზმნა იყო, დღევანდელი ირიბი ობიექტი მასთან ან სულ არ იხმარებოდა, ანდა იხმარებოდა, მაგრამ არა როგორც ზმნაში პირის გამჩენი დამატება-ობიექტი, არამედ როგორც უბრალო დამატება.

მაგ.: „შეწიროს მღღელმან მან ყოველი ცხე და დაღვას საკურთხეველსა მას ზედა“ ლევიტ., 1,13.

ობიექტი, ვისაც რაიმეს სწირავენ, აქ არ ჩანს.

მაგრამ: „ერთობით მადლი შეეწირეთ ღმრთისა“ (ისტ. ქრესტ., 220,14). აქ კი „ღმრთისა“ სიტყვით გადმოცემულია ობიექტი, ვისაც „მადლს“ სწირავენ.

ჩვენ მიერ ამ თვალსაზრისით წაკითხულ ძეგლებში თითქმის ყველა ისეთი მაგალითი ვნახეთ, სადაც „შეწირვასთან“ ნახმარი უბრალო დამატება ვინ ჯგუფის სახელით იყო გადმოცემული:

„შე-ლა-ვსწიროთ საკმეველი და მსხუერპლი უფლისა, ვითარცა ჯერ-არს“ 1 მეფ. 2,16.

„მეფემან სოლომონ... შესწირა უფლისა ზროხა ოცდაორათას და ცხოვარი“ 3 მეფ.. 8,63.

„(დღედა გრიგოლისი)... განმხიარულდა სულითა და განძლიერდა ქორციითა და მადლი შეეწირა ქრისტესა“ ხანძთ., 122,7.

„დედაკაცმან მან მადლი სიხარულით შეწირა ღმრთისა და წმიდისა მის“⁶ ხანძთ., 133,27.

„მადლობა შეეწირე უფლისა და მონისა მისისა იოვანესა“ ხელნ. ინსტ. A—188, 247 r.

„კაცთა მათ ბეთსამითელთა შესწირეს სკჩხი მსხუერპლი უფლისა ღმრთისა მას დღესა შინა“ 1 მეფ., 7,15.

რაც შეეხება რა ჯგუფის სახელებს, მათზე ჩვენ სამიოდე მაგალითი შეგვხვდა:

„ქუროენან ამან გლახაკმან უფროეს ყოველთა შემოწირა ფასის-საცავსა ამას“ მარკ., 12,43.

„ესე ვითარცა ესმა დიდებულსა კურაპალატსა, შეწირნა ადგილნი ქეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“ ხანძთ., 110,24.

შეიპყრობენ თორმეტთა უხრწნელთა ყრმათა და შესწირვენ მსხუერპლად ქველის-მოქმედისა მგლისა* საქმ. და სწ. 81,11.

პირველ მაგალითში რა ჯგუფის სახელით გადმოცემული დამატება მიტ. ბრუნვაშია, მეორეში—ვითარებითში, რომელსაც ახლავს ნანათესაობითარი მსაზღვრელი. მესამე კი სულიერი საგნის სახელია და ფორმით ვინ ჯგუფის სახელებს უდგას გვერდით (მაგალითები რა ჯგუფის სახელებისა მოგვეყავს პროფ. ა. შანიძის წიგნიდან „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში:“⁷).

„ღმრთეებასა სამებისასა ერთობით ქერობინთა თანა შიშით ქებასა შე-ვსწირვიდეთ“ (ძვ. სას. პოეზია, ნწ 1—3).

⁶ იგულისხმება ეპიფანე, გრიგოლის მოწაფე, რომელმაც განკურნა ამ დედაკაცის შვილი.

⁷ ა. შანიძე, თხზულებანი, 1, თბილისი, 1957, გვ. 213.

„რომელთა შესაწირავი ესე შემოსწირეს ამას დღესა წმიდასა ხაყურთ-
ხეველსა შენსა“ (სამღვდელთმოდლ. ეამ. წ. 5. 1—4).

„შევსწირე ყდ წსა“ (პაგ. მას. 80,17).

„აღვწიერე წდ ესე და სულთა საცხოვრებელი წიგნი და შევწირე მთა-
წმიდას მონახტერსა წისა ღთისმშობელიხასა“ (პაგ. მას. 46, 13—15).

„შევწირე წსჰ სიონსა ატენისასა“ (ატენის სიონის წარწ. 286, 9—10
სტრიქონი წარწერისა).

„შატბერდს დაეწერე და პარხალს შევწირე“ (ე. თაყაიშვილი, სამი
ისტორ. ხრონიკა, გვ. LVI, 2—1 ქვ.)

ნათესაობით-მიცემითის მონაცვლეობას პროფ. ა. შანიძე ზემოთ დასახე-
ლებულ წიგნში შემდეგნაირად ხსნის: ამ მოვლენის პირველი საფეხურია მი-
მართულების აღსანიშნავად სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარ-
მოდგენა, შემდეგ კი ეს ზმნა თანდათანობით კონსტრუქციას იცვლის და ნა-
თესაობითის ნაცვლად მიცემითის მოთხოვნას იწყებს⁸. დღეისათვის ეს მარ-
თლაც ასეა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ მონაცვლეობას სხვადასხვა პერიოდის
ძეგლებში კი არა აქვს ადგილი, არამედ ერთი და იმავე პერიოდისაში, გვა-
ფიქრებინებს, რომ აქაც ვინ და რა ჯგუფის სახელთა დაპირისპირებასთან
უფრო გვაქვს საქმე, მით უმეტეს, რომ არც ერთი ვინ ჯგუფის სახელი მი-
ცემითში არ შეგვხვებდრია და არც ერთი რა ჯგუფის სახელი—ნათესაობით-
ში. ერთგან რომ რა ჯგუფის სახელი „მგელი“ შეგვხვდა ამ ზმნასთან „მგლი-
სა“ სახით, გამართლებას პოულობს: მგელი აქ მეტყველია, წარმართთა ღთა-
ებაა, მაშასადამე, ვინ ჯგუფის საგნადაა გაგებული.

უკანასკნელი სამი მაგალითის შესახებ (სადაც არის ფორმები: შევწი-
რე მონასტერსა, შევწირე სიონსა, პარხალს შევწირე), ავტორი შე-
ნიშნავს, რომ აქ ახალი სინტაქსური კონსტრუქცია უყურადღებოდ არის და-
ტოვებული მორფოლოგიურად⁹. ეს ნიშნავს, რომ წინა მაგალითებში მი-
ცემით ბრუნვაში დასმულ სახელს ზმნაში პირის ნიშანი შეესატყვისება, აქ
კი—არა. მაგრამ თუ დავაკვირდებით იმ მაგალითებს, სადაც ზმნას ნათ.
ბრუნვაში დასმული დამატება ახლავს, იქაც ზოგჯერ ადგილი აქვს O, ნიშ-
ნის ხმარებას, როცა ეს ნიშანი მოსალოდნელი არ არის, ასე მაგ.: „შესწირ-
ვენ მგლისა“, შესწირეს სკხი უფლისა ღმრთისა“, შე-ღა-ვსწიროთ საკმევე-
ლი... უფლისა“...

ამგვარად, ბრუნვაში მართვის თვალსაზრისით „შეწირვასთან“ დაკავ-
შირებული პირმიუმართავი დამატებაც განარჩევს ვინ და რა ჯგუფის სახელებს.

ვინ და რა ჯგუფის სახელთა ბრუნვებში დაპირისპირების კვალი ჩანს
აგრეთვე უფროობითი ხარისხის ფორმებთან დაკავშირებულ შესაღარებელ
სახელებში. ტექსტებზე დაკვირვებით შევნიშნეთ, რომ შესაღარებელი სახელი
ხან მიცემითშია, ხან ნათესაობითში, როდესაც იგი რა ჯგუფისაა, ხოლო
ნათესაობითშია, თითქმის ყოველთვის, როცა იგი ვინ ჯგუფის სახელითაა
გამოხატული. მაგალითები:

„შეგიყუაროს შენ უფროჲ დედისა შენი-
სა“ ხირაქ. 4,11.

„ნაშობი დედათაჲ არაუინ არს უფროჲს
იოვანსსა“ სინას მრავალთ.. 24,4.

„უფროჲს არს ყოველსა რჩულსა ქრისტეა-
ნობაჲ“ ვესტ., 45, 36.

უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი ვიდრე
ცხოვრებაჲ“ ისტ. ქრესტ. 4,3.

⁸ ა. შანიძე, თხზულებანი, I. თბილისი, 1957, გვ. 213.

⁹ შდრ. დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

„და აპა უფრომხ ხოლომონიხა არს აქა“
მათე, 12,42.

„რამ-მე უჩუე იყოს უძკრებ და უხაწუა-
ლოზებლეს კაცისა მის, რომელი მარადის გულ-
მწყრალ არნ“ მამ. სწავ., 42.

„შეიყუარა მან უსჯულოებამ უფრომხ
ხახიერებისა“ ფსალმ., 51, 3.

„ანუ არა სული უფრომხ არს ხაზრდე-
ლიხა და ქორცინი ხამოხლისა“ მათე, 6, 25.
და სხვ.

ხანმეტ და ჰემეტ ძეგლებში უფროობითი ხარისხის ფორმებთან ხ- და ჰ-პრეფიქსების არსებობამ, აგრეთვე ქართველური ენების მონაცემების შესწავლამ, პროფ. ა. შანიძე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უფროობითი ხარისხის ფორმები ზმნური წარმოშობის ფორმებად ჩაეთვალა, სადაც ხ- და ჰ-მესამე ობიექტური პირის ნიშნებია, უ კი გენეტურად სასხვისო ქცევის უ-ს უკავშირდება¹⁰, რაც შეეხება -ე სუფიქსს, მის შესახებ გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი წარმოშობით წყვეტილის მაწარმოებელ -ე-ს უნდა უკავშირდებოდეს¹¹. უფროობითი ხარისხის ფორმების მიღება შემდეგნაირადაა ნაგარაუდები: ხუთეთრე არს იგი მას<ხუთეთრე მე (ან შენ) მას იგი.

მასასადამე, შესადაარებელი სახელი აქ წარმოშობით ირიბი ობიექტია. ამ ახსნის საფუძველზე შესადაარებელი სახელის ბრუნვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ერთი აზრი არსებობს, რომ ამ სახელის მიცემითი ბრუნვა არის პირველადი, ძველი, ხოლო ნათესაობითი ბრუნვა— მეორეული, ახალი¹².

ჩვენ კი ვარაუდის სახით ვიტყვით, რომ ერთი ძველი უნდა იყოს და მეორეც, მხოლოდ პირველი რა ჯგუფის, ხოლო მეორე ვინ ჯგუფის სახელთათვის.

ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი გარემოება: შესადაარებელი სახელი, როგორც აღნიშნავენ, ირიბი ობიექტისგანაა მიღებული, ირიბი ობიექტი კი, როგორც სათანადო მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, ძველ ქართულში ყოველთვის მიცემითი ბრუნვის ფორმით არ უნდა ყოფილიყო გადმოცემული.

ისეთი ძველი ხმარების ზმნა, როგორცაა „შეწირვა“, როგორც უკვე გვეტონდა ლაპარაკი, ვინ ჯგუფის სახელებს დღევანდელი ირიბი ობიექტის ფუნქციით ხმარებისას ე. წ. ნანათესაობითარ ვითარებითში შეიწყობდა. ეგევე სურათი გვაქვს „მიწერა“ ზმნასთანაც, დღევანდელი ირიბი ობიექტი მასთანაც აგრეთვე ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმით დასტურდება:

„და ჰრქუა მეფემან ასურასტანისამან: მივედ და მივეწრო მეფისა მის ხრაშლისა“. 4 მეფ., 5, 5.

„(ფებრონია) .. წიგნი მიწერა ნეტარისა გრიგოლისხა და ითხოვდა მლღელსა ღირსსა“. ხანძთ., 127, 8.

- ნაცვალსახელების „და“ თანდებულიანი ფორმებია გამოყენებული: „ამას მივსწერ შენდა“. სინას მრავალთ., 70,10.
- „ამას მივსწერ თქუენდა, რაათა არა სცოდოთ“. ო, 1, სამოც. იოვ., 2, 1.
- „ჰაველე... მიწერა თქუენდა“. ო, 2, სამოც. პეტრ., 3, 15.
- „არა მივეწრე თქუენდა, ვითარმედ არა იცით ქეშმარიტებამ“. ო, 1, სამოც. იოვ., 2, 21.

¹⁰ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 144—145.
¹¹ გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის წარმოებისათვის ქართველურ ენებში: უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1954, თეზისები, გვ. 126—128.
¹² ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები..., გვ. 447; თ. ხუ-რაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში: თსუ შრომები, თბილისი, 1957, გვ. 162.

აქ გამოგვადგებოდა აგრეთვე ზემოთ ნახსენები მაგალითიც:

„(კაცსა მას)... ცოდვად იგი ეშმაკისა მიჰგურიდა და ეშმაკი სიკუდილსა მისცემდა და დიდსა ქირსა ჩუენ ზედა მოაწვდა“ (სინას, მრავალთ., 43,14).

აქ წარმოდგენილ „მიფურა“ ზმნას ირიბი ობიექტი ეწეობა და იგი ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვაშია (შდრ. „ვითარცა შემწუხრდა, მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი“, მათე, 8, 16).

ასეთივეა: „ესმა ესე ევტუში პატრუქსა იერუსალმელსა და წარსცა მისა ყოველი საჰმარი ჯორცთაჲ, ხოლო მან არარაჲ მისგანი შეიწყნარა, არამედ შიამცნო მისა და ჰრქუა: ლოცვა ყავ ჩემოჲს, წმიდაო მამაო, რათა განვერე მერმეთა მათგან სატანჯუელთა“, სამოთხე, 5, 12—15 (შდრ. „ნუსადა წარსცე ქვასა ფერჯი შენი“ მათე, 4, 6).

კიდევ სხვა მაგალითი: „ვითარცა მრისხანეთა მკლველთა შეიხილნეს ურთიერთას, მოახსნეს მისა გარემო მკლავნი მათნი, რათამცა ჰამეს და განძლეს ჯორცითა და სისხლითა მისითა“. სინას მრავალთ., 108,22.

ირიბი ობიექტი აქ მიცემით ბრუნვაში იყო მოსალოდნელი და გვხვდება კიდევაც სხვაგან (შდრ. „შეახსნეს ჯელნი იესუს“ მათე, 26, 50). აქ გვაქვს თანდებულებიანი ნათესაობითი, შეიძლებოდა შეგვხვდებოდა უთანდებულო ფორმაც „მოახსნეს მისა“.

დასასრულ, ამავე თვალსაზრისით დასაძებნია და შესასწავლი ისეთი შემთხვევები, როგორიცაა:

„სახელი შეორისა მის უწოდა ელიეზერ“ გამოსლ., 2, 22.

„უბრძანა უფალმან აყიროსა მას და აღმოუქდა თავით კერძო იონაჲსა“ ისტ. ქრესტ. 4, 6.

„იოვანე ილოცა და უპყრა მარჯუენს ჯელი დიოსკორიდოჲსი“ საქმ. და სწ. 63, სქ. 11 (შდრ. „უპყრა ჯელი ყრმასა მას“ ლუკა, 8, 54. ის, რაც „პყრობა“ ზმნის სასხვისო ქცევასთან ირიბი ობიექტია, ძველ ქართულში ზოგჯერ პირდაპირი ობიექტის მსაზღვრელად გვევლინება).

აქ მოტანილი მასალა, რა თქმა უნდა, საბუთად არ კმარა, მაგრამ მაინც გვგონია, რომ უსაფუძვლო არ უნდა იყოს, თუ ვიტყვი, რომ ადამიანისა და ნივთის კლასების გარჩევას მათი ირიბი ობიექტად ხმარების დროსაც უნდა ჰქონოდა ადგილი. ეს საკითხი უთუოდ მოითხოვს შემდგომ დაკვირვებასა და შესწავლას.

უფროობითი ხარისხის ფორმებთან დაკავშირებულ შესადარებელ სახელებთან მიცემითი ბრუნვის პირველადობას ეჭვის ქვეშ აყენებს შემდეგი ფაქტიც: ძველი ქართული ენის ძეგლებში შესადარებელი სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმებს თითქმის სჭარბობს ნათესაობითი ბრუნვის ფორმები, უკანასკნელი რომ მეორეული ყოფილიყო, დღეს შესადარებელი სახელის ბრუნვა განვითარების კანონზომიერების თანახმად გარკვეულად ნათესაობითი უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის: ნათესაობითის ხმარება უფროობით ხარისხთან იშვიათობას წარმოადგენს, სამაგიეროდ ჩვეულებრივია -ზე დართული მიცემითი (ფიქრზე უმაღესი, ქვიშაზე უმრავლესი, სხვაზე უკეთესი და სხვ.).

ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურზე, როგორც ცნობილია, ვარაუდობენ გრამატიკული კლას-კატეგორიების არსებობას, რაც ნიშ-

ნავს, რომ იმ დროისათვის ქართულში გარჩეული უნდა ყოფილიყო ადამიანისა და ნიეთის კლასები, ეს მოვლენა გადმონაშთების სახით შენიშნულია დღეს ჩვენი ენის ლექსიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში¹³.

ვინ და რა ჯგუფის სახელთა ზემოთ მოყვანილი დაპირისპირება, ვფიქრობთ, რომ კავშირში უნდა იყოს ძველ ქართულში მოქმედ სინტაქსურ წესთან, რომელიც პროფ. კ. კეკელიძემ მიაკვლია, სახელდობრ, „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულებისაგან ბრუნვაში მართვის თვალსაზრისით **ვინ და რა** ჯგუფის სახელთა გარჩევასთან¹⁴.

როგორც პროფ. ილ. აბულაძემ მიგვითითა, **ვინ და რა** ჯგუფის სახელთა დაპირისპირებას თანდებულებთან ძველი ქართულის მსგავსად ძველ სომხურშიც ჰქონია ადგილი: ძველ სომხურში მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან ხმარებული ფორმები იმართვიან ბრალდებითში, ისე რომ **ვინ** ჯგუფის სახელები დაირთავენ *ათ* თანდებულს, ხოლო **რა** ჯგუფის სახელები—*ჩ* თანდებულს: *ჩეს. რანს ასხანს ათ ჩ ა* ეზეკ. 25, 1 (ნიშნავს: იყო სიტყუაჲ ოჯ ჩემ და მომართ), მაგრამ: *ჟაჟრბაღ... ქს რ ჩ რ რ ჩ ს რ* მსჯ. 16,5 (მიიქცა... ქუეყანადვე თჳსა).

ამგვარად, ჩვენთან ერთი და იგივე თანდებულები **ვინ და რა** ჯგუფის სახელებს მართავენ ორ სხვადასხვა ბრუნვაში, სომხურში კი პირიქით **ვინ და რა** ჯგუფის სახელები ერთსა და იმავე ბრუნვაში არიან მართული სხვადასხვა თანდებულებით: ორივე ენისათვის საერთოა სახელთა ერთი ფუნქციით ხმარებისას ადამიანისა და ნიეთის კატეგორიის გარჩევა.

ამრიგად ქართულში შემჩნეული კანონზომიერება მიმართულების აღმნიშვნელ ზმნებთან სახელთა **ვინ და რა** ჯგუფების გარჩევისა შემთხვევითი არ ჩანს, იგი პარალელს პოულობს სხვა ენაშიც.

ჩვენი შემთხვევების მიხედვით გამოდის, რომ ერთი და იმავე ფუნქციით ხმარებისას **ვინ და რა** ჯგუფის სახელებს შორის დაპირისპირება უთანდებულოდაც არსებულა, ოღონდ თანდებულებიანობის შემთხვევაში ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს ნათესაობითსა და მიცემითში, აქ კი ნანათესაობითარ ვითარებითსა და მიცემითში. კანონზომიერი კი იქნებოდა, რომ **ვინ** ჯგუფის სახელებიც ორსავე—თანდებულებიანობისა და უთანდებულობის—შემთხვევაში,

¹³ ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 165—234; К. Д он д у а, О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление, I, 43—46; ა. ჩ ი ქ ბ ა ე ა, სახელის ფუნქციის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 135—261; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძე. ქართულში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 300—308.

¹⁴ აღნიშნული თანდებულების სინტაქსურ ძალას პროფ. ა. კ ე კ ე ლ ი ძ ე შემდეგნაირად ახასიათებს: „სინტაქსური ძალა „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულებისა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი „უსულო“ საგნების სახელებს მართავენ მიცემითს ბრუნვაში, ხოლო „სულიერი“ საგანთა სახელებს—ნათესაობითში. „ზედა“ თანდებული უშვებს გამონაკლისს „სულიერი“ საგნებიდან რა ჯგუფის სახელებისათვის, რომელთაც მიცემითს ბრუნვაში მოითხოვს“ (ზემოთ დანახ. ნაშრომი, გვ. 308), ე. ი. „წინაშე“ და „თანა“ თანდებულებთან გარჩეულია „სულიერი“ და „უსულო“ სახელები, „ზედასთან“ ვინ და რა ჯგუფის სახელები. მართალია, როგორც კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მიუთითებს, ძველი ქართული ენის ძეგლებში არ იპოვება მაგალითები „წინაშე“ და „თანა“ თანდებულების მიერ რა ჯგუფის სულიერ საგანთა სახელების მართვისა, მაგრამ, საფიქრებელია, რომ მათი ბრუნვაც, ისევე როგორც „ზედა“ თანდებულთან, მიცემითი ყოფილიყო.—მაშასადამე, შეიძლება დაეუშვათ, რომ „წინაშე“ და „თანა“ თანდებულებთანაც სახელთა სწორედ ვინ და რა ჯგუფებად დაყოფა იქნებოდა ჩვეულებრივი.

რა ჯგუფის სახელთა მსგავსად, ერთ ბრუნვაში ყოფილიყვნენ წარმოდგენილი. მოსალოდნელი კანონზომიერების არსებობა ექვს ბაღებს, ნანათესაობითარ ვითარებითად მიჩნეული ფორმები ხომ არ წარმოადგენენ მარტივად ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს?

ზემოთ განხილულ ფორმებს ნანათესაობითარ ვითარებითს უწოდებენ. საფუძველი ასეთი კვალიფიკაციისა ის არის, რომ აქ წარმოდგენილ საკუთარ სახელებს (აგრეთვე ნაცვალსახელებს) ბოლოს ა ერთვის: მივიდა დაეითისა, შესწირე იოვანძსა, უმჯობძს გრიგოლისა. ძველ ქართულში საკუთარი სახელები ა-ს, ე. წ. ემფატიკურ ა-ს, არ დაირთავენ, ამიტომ ჩვენი შემთხვევების ა ჩათვლილია ვითარებითის-ად სუფიქსის ნაშთად. თითქოს ასეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გარკვეულ შემთხვევებში საკუთარ სახელებზე ა ბოლოსართის დართვა, თანაც ნათესაობითთან, აუცილებლობას წარმოადგენს. ასე მაგალითად, როდესაც ნათესაობით ბრუნვაში დასმულ საკუთარ სახელებს წინ თანდებული უძღვით (ეს თანდებული ძირითადად „წინაშე“-ა), ისინი ყოველთვის ა ბოლოსართით არიან წარმოდგენილი:

„სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა“ შუშ. 36, 14.

„შეკრბეს იგინივე მეჯადაგენი და მექამლენი და ზრახვა ყვეს წინაშე უსტამისა“, ევსტ., 45, 14.

„შევიდეს საპყრობილესა მას და დადგეს წინაშე ანდრეაჲსა“ მიმ., 35, 8.

„(პატროკლე)... ერისა მისგან ვერ შეუძლო შესლვად შინა პავლსა“. წამ. პავლ., 91, 13 და სხვ.

„შეწირვა“-სთან დაკავშირებულ უთანდებულ დამატებას ხშირად ენაცვლება „წინაშე“ და „მიმართ“ თანდებულებით მართული დამატება. საკუთარ სახელებს აქაც ყოველთვის ა ბოლოსართი ერთვის:

„ღმრთისა, მამისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა მიმართ შევესწირავთ მსხუერპლსა“. სპევს. ელ. და მელ., 37, 4—5.

„ხოლო წერტა დიადი შესაწირავი მიუძღუნა და შეწირა წინაშე წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისხა“. ხანძთ., 155, 31.

ა ბოლოსართი ერთვის აგრეთვე საკუთარ სახელებს, როცა ისინი ნანათესაობითარი მსაზღვრელებია. ნანათესაობითარი მსაზღვრელი ჩვეულებრივ ორი სახით გვხვდება და ორივეჯერ ა ბოლოსართით გავრცობილი:

„გამოვიდა კაცი ერთი ნათესავისაგან საულისისა“. 2 მეფ., 16, 5.

„შენ ერთგულ ხარ ძისა იესუსა“. 1 მეფ., 20, 30.

„წარადგინეს იგი წინაშე ათასის თავისა მის კლავდიოსისა“.

სინას მრავალთ., 59, 22.

„და ორნია შეიშინა პირისაგან სოლომონისა“. 3 მეფ., 1, 50.

ს. ჩხენკელი შრომაში: „საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში“ პირველი სახის მაგალითებში (საულისისა, იესუსისა) ა ბოლოსართზე არათერს ამბობს, მეორეს კი (კლავდიოსისა, სოლომონისა) გარკვეულ ახსნას უძებნის: „ნანათესაობითარი მსაზღვრელის ასეთი წარმოება, ე. ი. ნათესაობითი ბრუნვისათვის სახელის ძირითადი ნათესაობითის ფორმის გამოყენება, უნდა აიხსნას იმით, რომ ფუძეს ნათესაობითის ფორმა წარმოადგენს, რის შეგნებაც იმდენად ძლიერია, რომ ხელმეორედ

(გაორკეცებით) ნათესაობითის ნიშნის დართვა ქირს, ხოლო განსხვავება ჩვეულებრივი ნათესაობითისაგან განმავრცობელ ა-ს აქვს დაკისრებული¹⁵.

როგორც არ უნდა აიხსნას ეს მოვლენა, ფაქტია, რომ საკუთარი სახელები გარკვეულ შემთხვევებში ა ბოლოსართს დაირთავენ.

როდესაც „მივიდა დავითისა“-ში „დავითისას“ ნანათესაობითარ მსაზღვრელად ვთვლით, ბუნებრივად ჩნდება კითხვები: ა) რა მიზეზებმა გამოიწვია საზღვრულის დაკარგვა, ე. ი. რა კერძო შემთხვევებისათვის უნდა ვივარაუდოთ საზღვრულის გაუჩინარება?—რადგან უსაზღვრულო ფორმების გვერდით (მივიდა დავითისა) ჩვეულებრივია საზღვრულიანი ფორმებიც (მივიდა ტაძრად დავითისა), — ბ) რატომ არ დასტურდება რა ჯგუფის სახელები ჩვენთვის საინტერესო ფორმით?

აღნიშნული ფორმების კვალიფიკაციის დროს საყურადღებოა ერთი მომენტიც:

„მივიდა დავითისა“ და „მივიდა ტაძრად დავითისა“ შინაარსით ერთმანეთს არ ფარავენ. თუ ენამ საჭიროდ მიიჩნია „ტაძრად დავითისა“-დან „ტაძრად“ სიტყვის ამოგდება, ეს იმას ნიშნავს, რომ უსაზღვრულო მსაზღვრელს დააკისრა იმ ფუნქციის შესრულება, რაც საზღვრულიანს ჰქონდა. აქ კი ეს ასე არ არის. როდესაც ვამბობთ „მივიდა დავითისა“, ეს უთუოდ გულისხმობს უშუალოდ დავითთან მისელას, დავითთან შეხვედრას, იმ დროს როდესაც „მივიდა ტაძრად დავითისა“, „სახლად დავითისა“, „ქალაქად დავითისა“ სრულიად არ გულისხმობს დავითის ნახვის აუცილებლობას. ეს განსხვავება კარგად ჩანს მაგალითებიდან:

„მივიდა იოაბ მეფისა და უთხრა მას ყოველი იგი სიტყუაჲ“ 2 მეფ., 14, 33.

მაგრამ:

„მოვიდა იესუ სახიდ პეტრესა და იხილა სიდერაი მისი დავრდომილი მჭურვალებითა“. მათე, 8, 14.— თვითონ პეტრეზე კი არაფერია ნათქვამი.

ამგვარად, „მივიდა დავითისა“ არ გადმოსცემს იმას, რასაც „მივიდა ტაძრად დავითისა“, ამდენად იგი ამ უკანასკნელის შემცველი ვერ იქნება. სამაგიეროდ ის, რასაც „მივიდა დავითისა“ გადმოსცემს, ზუსტად გადმოიცემა ფრაზით „მივიდა წინაშე დავითისა“, ასე რომ თუ ჩვენს ფორმებთან რაიმე მაინცადამაინც გამოტოვებულად და საგულისხმებლად უნდა ჩაითვალოს, ეს ნათესაობითი ბრუნვის თანდებული „წინაშე“ უფრო იქნება, ვიდრე საზღვრული სახელი.

ჩვენი დებულებისათვის, რომ ამ ფორმების სახით საქმე უნდა გვქონდეს ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან, დაბრკოლებას ქმნის ნაცვალსახელები, რომლებიც ზემოთ ნახსენები ფუნქციით ხმარებისას იმავე ფორმით დასტურდება, რა ფორმაც გააჩნიათ მათ, როდესაც ნანათესაობითარი მსაზღვრელები არიან ვითარებით ბრუნვაში: „მომცენ ძმანი ჩემნი, რომელნიცა მოიწინეს შენდა“ ხანძთ., 114, 35; შდრ.: „ალილე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა“ მათე, 9, 6.

შესაბამისად იხმარება: ჩემდა, ჩუენდა, თქუენდა, მისდა || მისა, მათდა || მათა (მისა და მათა ფორმებისათვის ამოსაელად მისდა და მათდა-ს ვარაუდობენ).

¹⁵ სახელის ბრუნების ისტორიისათვის..., გვ. 108.

-და დართული ფორმები ნაცვალსახელებისა სამეცნიერო ლიტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც ვითარებითის ფორმები¹⁶. მათი ვითარებითობის სასარგებლოდ ის ლაპარაკობს, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულს ერთიან როგორც მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელები.

-და ბოლოსართიან ნაცვალსახელთა შესახებ არსებობს შემდეგი ვარაუდიც, რომ ისინი -და თანდებულიანი ნათესაობითის ფორმები უნდა იყვნენ.

ჩვენის აზრით, ის გარემოება, რომ -და დართული ნაცვალსახელები საშუალო და ახალ ქართულში აღარ იხმარება ვითარებითი ბრუნვის გადმოსატყემად (ვეფხისტყაოსანში აღნიშნული ნაცვალსახელების ნანათესაობითარი ვითარებითი-ად ფორმანტითაა მხოლოდ ნაწარმოები: ჩემად იმედად 1297,1; შემაქცევრად შენად 273,2 და სხვ.) გარკვეულ დაბრკოლებად ჩანს ჩემდა, შენდა... ფორმების ვითარებითად აღიარებისათვის. -და ბოლოსართის თანდებულობას უჭერს მხარს ისიც, რომ იგი გვხვდება არსებით სახელებთანაც -თვის თანდებულის მნიშვნელობით¹⁷:

„დამონებულ ხარ ეშმაკისადა... და საფრტე ქმნულ ხარ დიდისა ველმწიფისადა“ ხანძთ. 137, 42—43.

„აწ მე აღმითქუამს უფლისადა, ვიდრე აღსასრულამდე ჩემდა მარტოდ მყოფებაჲ“ ხანძთ., 105, 2.

„(დიმიტრიოს)... ნეტარსა დედასა ფებრონიას განეზარდა და მამისა გრიგოლისდა დაემოწაფა“ ხანძთ. 109, 16—17.

თუ არა თანდებულად, სხვად ვერაფრად მივიჩნევდით -და-ს შემდეგ მაგალითში:

„კეთილად წარმატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაუტევა დისა მისისა თეკლასა და შვილთა მისთადა“ ზარზმ., 96, 15.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ -და-ს სახით საქმე გვაქვს უძველეს თანდებულთან, რომელსაც დასაწყისისათვის თვის-ის შინაარსი ჰქონდა და იხმარებოდა როგორც ნაცვალსახელებთან, ისე არსებით სახელებთანაც. შემდეგ -თვის თანდებულის გაჩენის გამო, თუ სხვა მიზეზით, ამ თანდებულმა დაკარგა თავისი ძალა. ნაცვალსახელებს, როგორც საერთოდ არქაულობის მატარებელთ, შემორჩნათ იგი, უფრო კი შეიძლება იმიტომ, რომ მათ ეს -და დართული ფორმები გარკვეული ფუნქციით გამოიყენეს.

ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდია, და დართული ნაცვალსახელები სპეციალურ შესწავლას საჭიროებენ.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. მიმართულების აღმნიშვნელ ზმნებთან და უფროობითი ხარისხის ფორმებთან დაკავშირებული უბრალო დამატება ძველ ქართულში განარჩევს ვინ და რა ჯგუფის სახელებს.

2. გამოკვლევაში დასმულია საკითხი: რაკი უფროობით ხარისხთან დაკავშირებული შესაძარებელი სახელი ირიბი ობიექტისაგან მომდინარედ ითვლება, ხომ არ განირჩეოდა უძველეს ქართულში ირიბი ობიექტის ბრუნვებიც იმის მიხედვით, ვინ ჯგუფის სახელით იყო იგი გადმოცემული თუ რა ჯგუფის სახელით?

¹⁶ ვ. თ. ფ. უ. რ. ი., ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში..., 33-32.

¹⁷ ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა. გვ. 79: ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 71; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები..., გვ. 491—495.

3. „ მივიდა დავითისა“, „უდიდეს გრიგოლისა“... ჩათვლილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმებად, სადაც ბოლოსართი ა იმავე საჭიროებით გაჩენილი უნდა ჩანდეს, რითაც „წინაშე ანდრეასა“ და მისთანა ფორმებში.

დამოწმებული წყაროები

გამოსლ.=გამოსლვათა, ეხეკ.=ეხეკიელი, ზირაქ.=ზირაქის სიბრძნე, ლვეიტ.=ლვეიტელთა, 1 მეფ.=1 მეფეთა, 2 მეფ.=2 მეფეთა, 3 მეფ.=3 მეფეთა, 4 მეფ.=4 მეფეთა, მსაჯ.=მსაჯულთა, ფსალმ.=ფსალმუნნი — A—51.

იოვანე=სახარებად იოვანესი, ლუკა=სახარებად ლუკასი, მათე=სახარებად მათესი, მარკა=სახარებად მარკაზისი.—ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945 წ.

1 სამოც. იოვ.=იოვანესი სამოციქულოდ ა, 2 სამოც. პეტრ.=პეტრეს სამოციქულოდ ბ.—კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ, თბილისი, 1956 წ.

გობრ.=წამებად გობრონისი, ევსტ.=მარტულობად ევსტათი მცხეთელისა, ხარზმ.=ცხორებად სერაპიონ ზარზმელისა, შუშ.=მარტულობად შუშანიკისი, ცხ. ადამ.=ცხორებად ადამისი, ხანძთ.=ცხორებად გრიგოლ ხანძთელისა. ჰაბთ=მარტულობად ჰაბთასი.—ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946 წ.

ისტ. ქრესტ.=ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, V—X საუკ. ძეგლები გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბილისი, 1953 წ.

მამ. სწავ.=მამათა სწავლანი, X—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1955 წ.

მიმ.=მიმოდასლვად მოციქულთა, წამ. პავლ.=წამებად პავლესი, წამ. პეტრ.=წამებად, პეტრესი, საქმ. და სწავ.=საქმენი და სწავლანი იოვანესნი.—ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1959 წ.

სამოთხე.=იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1960 წ.

სინას მრავალთ.=სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1959 წ.

სპევს. ელ. და მელ.=წამებად წმიდათა მოწამეთა სპევსიპსი, ელასიპსი და შელასიპსი სოფელსა კაბადუკიელთასა, გამოსცა ნ. მარმა (Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, т. 17, 1906 г.).

Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

ОТГЕНЕТИВНЫЙ НАПРАВИТЕЛЬНЫЙ ПАДЕЖ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В памятниках древнегрузинского языка часто встречается определенная форма имен, которая употребляется при глаголах, выражающих движение: შეიყვანეს მეფისა (ввели к царю), მივიდეს მისა (пошли к нему), წარვიდეს ნერონისა (пошли к нему), შეწირეს ღმრთისა (пожертвовали богу).

В специальной литературе она квалифицируется как форма отгнетивного направительного падежа.

Также квалифицируется падежная форма сравнимого имени связанного со сравнительной степенью, если оно выражено собственным именем или-же местоимением.

В форме отгнетивного направительного падежа встречаются только имена категории человека (вопрос: кто?) имена же категории вещи (вопрос: что?) оказались в дательном (иногда в направительном) падеже. Этот факт находит аналогию в способе применения предлогов: *siṗaṣe* (წინაშე), *tana* (თანა), *zeda* (ზედა).

Считается, что сравниваемое имя, связанное со сравнительной степенью, происходит от косвенного объекта. Если это так, то возникает вопрос, не применялся ли косвенный объект в двух различных падежных формах в зависимости от того, выражался ли он именем категории человека (вопрос: кто?), или же именем категории вещи (вопрос: что?).

Очевидно, суффикс—*ა* (ა) в формах *ბერობისა* (к Керону), *მისა* (к нему) выполняет ту же функцию, что и суффикс—*ა* (ა) в формах: *წინაშე ბერობისა* (к Керону), *წინაშე მისა* (к нему).